პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ორგან центрального и тбилисского комитетов кп (б) грузии и советов депутатов трудящихся грузинской ССР

შაბათი
10 აგვისტო
1940 წ.
№ 184 (5885)
ფასი 10 კაპ.

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

კ ა ნ ო ნ

მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ

აკმაყოფილებს რა ბესარაბიის მშრომელთა და მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა სურვილს მოლდავეთის ასს რესპუბლიკის მოლდაველ მოსახლეობასთან ბესარაბიის მოლდაველი მოსახლეობის შეერთების შესახებ და ხელმძღვანელობს რა ეროვნებათა თავისუფალი განვითარების საბჭოური პრინციპით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შეიქმნას მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

2. შეტანილი იქნას მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში მოლდავეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქი ტირასპოლი და გრიგორიოპოლის, დუბოსარის, კამენკის, რიბნიცკის, სლობოძეისა და ტირასპოლის რაიონები, ბესარაბიის ქალაქი კიშინიოვი და ბენდერის, კიშინიოვის, კაგულის, ორგეევის და სოროკის მაზრები.

3. გადაეცეს მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში ბესარაბიისა და მოლდავეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოები, ამ კანონის მეორე პუნქტის თანახმად, გარდა მცირე რაოდენობის საწარმოებისა, რომლებსაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობა აქვთ.

4. ეთხოვოს უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს და მოლდავეთის სს რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარმოუდგინონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ზუსტი საზღვრის დაწესების პროექტი.

5. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-34 და მე-35 მუხლების შესაბამისად, ჩატარდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან.

6. მიენდოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 2 აგვისტო.

კ ა ნ ო ნ

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილისა და ბესარაბიაში შემავალი ხოტინის, აკერმანისა და იზმაილის მაზრების შეტანის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნას ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილი და ბესარაბიაში შემავალი ხოტინის, აკერმანისა და იზმაილის მაზრები უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში.

2. მიენდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა, არჩევნების დღე უკრაინის სს რესპუბლიკის ახალი ტერიტორიების მოსახლეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 2 აგვისტო.

კ ა ნ ო ნ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ

მოისმინა რა ლიტვის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს ლიტვის სეიმის თხოვნა და მიღებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

2. მიღებულ იქნას ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინადადება, რომ მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში გადაცემულ იქნას ბელორუსიის სს რესპუბლიკის სვენციანის რაიონი და ვიძოვის, გოდუტიშკოვსკის, ოსტროვეცის, ვორონოვოსა და რადუნსკის რაიონების ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც ლიტველი მოსახლეობა სჭარბობს.

3. ეთხოვოს ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარმოადგინონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ზუსტი საზღვრების დაწესების პროექტი.

4. ჩატარებულ იქნას, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-34 და მე-35 მუხლების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან.

5. მიენდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 3 აგვისტო.

კ ა ნ ო ნ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ

მოისმინა რა ლატვიის სეიმის სრულუფლებიანი კომისიის განცხადება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს ლატვიის სეიმის თხოვნა და მიღებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

2. მიენდოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა, არჩევნების დღე უკრაინის სს რესპუბლიკის ახალი ტერიტორიების მოსახლეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 5 აგვისტო.

კ ა ნ ო ნ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ

მოისმინა რა ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს სრულუფლებიანი კომისიის განცხადება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს თხოვნა და მიღებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

2. ჩატარებულ იქნას, სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-34 და მე-35 მუხლების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან.

3. მიენდოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დანიშნოს არჩევნების დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 6 აგვისტო.

კ ა ნ ო ნ

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13, მე-23 და მე-48 მუხლების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ

მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოკავშირე ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, მოკავშირე ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მოკავშირე ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღებასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13, მე-23 და მე-48 მუხლებში ცვლილებანი და დამატებანი და ეს მუხლები გადმოიცეს შემდეგნაირად:

„მუხლი 13. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის საკავშირო სახელმწიფო, შექმნილი თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე:

რუსეთის საბჭოთა ფედერატიული სოციალისტური რესპუბლიკისა,

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა,

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა“.

„მუხლი 23. უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აკერმანის, ვინიცის, ვოლინის, ვოროშილოვგრადის, დნეპროპეტროვსკის, დროგობიჩის, ეიტომირის, ზაპოროჟიეს, კამენეც-პოდოლსკის, კიევის, კიროვოგრადის, ლვოვის, ნიკოლაევის, ოდესის, პოლტავის, როვნოს, სტალინის, სტანისლავსკის, სუმსკის, ტარნოპოლის, ხარკოვის, ჩერნიგოვისა და ჩერნოვიცის ოლქებისაგან“.

„მუხლი 48. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ორიენ პალატის გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მისი თანქმსმენი მოადგილეს, პრეზიდიუმის მდივანი და პრეზიდიუმის 24 წევრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელ თავის მოქმედებაში ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ო. ვ. კუუსინენის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ოტო ვილჰელმის-ძე კუუსინენი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის პროკურორის მოვალეობისაგან ამხ. მ. ი. პანკრატიევის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლებულ იქნას ამხ. მიხეილ ივანეს-ძე პანკრატიევი, თანახმად მისი თხოვნისა, სსრ კავშირის პროკურორის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის პროკურორის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ვიქტორ მიხეილის-ძე **ბოჩკოვი** სსრ კავშირის პროკურორად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

კ ა ნ ო ნ

სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის საერთო - საკავშირო სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატის შექმნა და ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-77 მუხლში სიტყვები—„ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობისა“ შეიცვალოს სიტყვებით — „ელექტროსადგურებისა; ელექტრომრეწველობისა“ და სიტყვას „მშენებლობისა“ წინ დაემატოს შემდეგი სიტყვები—„ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ საბჭოთა კავშირის მარშლის კ. ე. ვოროშილოვის დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საბჭოთა კავშირის მარშალი კლიმენტ ეფრემის-ძე **ვოროშილოვი** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვ. ა. მალიშევის დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევი** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

მზრუნველობით ვზარდოთ კადრები

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ისტორიულ ყრილობაზე დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** ერთერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაგვისახა „...მზრუნველობით აღვზარდოთ კადრები, გულდასმით შევისწავლოთ მუშაკების ღირსებანი და ნაკლოვანებანი, უფრო გაბედულად დავაწინაუროთ ახალგაზრდა მუშაკები, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე შევუფარდოთ პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს“.

ბელადის ამ გენიალური მითითების მტკიცედ განხორციელებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა. ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე ასობით დაწინაურეს ნიჭიერი და შემოწმებული ახალგაზრდა კადრები. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ვახყოფილებათა გამბედებად, მათ მოადგილეებად, ინსტრუქტორებად დაწინაურებულია 700-ზე მეტი ამხანაგი. რესპუბლიკის მსხვილ დაწესებულებათა ხელმძღვანელებად და საწარმოთა დირექტორებად 210 კაცი.

დაწინაურებულმა ახალგაზრდა კადრებმა პარტიული ორგანიზაციების კონკრეტული დახმარებით თავი გაართვეს მინდობილ სამუშაოებს და ბოლშევიკურად იბრძვიან პარტიისა და მთავრობის დირექტივების განუხრელად გატარებისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ახალგაზრდა კადრების სწორად შერჩევის, აღზრდისა და გაბედულად დაწინაურების დარგში მოპოვებულ წარმატებებს უნდა უმადლოდნენ დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას,** რომელმაც ხალხის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით აღზარდა საქართველოს ბოლშევიკები.

წარმატებებთან ერთად უნდა აღვნიშნოთ კადრების დაწინაურების საქმეში არსებული ნაკლიც. არის იმის ფაქტები, რომ ზოგიერთი ამხანაგი ივიწყებს ამხანაგ სტალინის მითითებას და იჩენს ახალგაზრდა კადრების აღზრდისა და დაწინაურების შეუფასებლობას. ზოგჯერ კადრების განაწილებას ზერელედ და მოუფიქრებლად ეკიდებიან, უმიზნოდ გადაისვრიან ხოლმე მუშაკებს ერთი ადგილიდან მეორეზე. არ ხდება კადრების წინასწარ საფუძვლიანად შესწავლა. ზოგჯერ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები არასაკმაოდ მუშაობენ დასაწინაურებელი რეზერვის შექმნისათვის.

ზოგიერთ შემთხვევაში მოუფიქრებლად აწინაურებენ საქმისათვის შეუფერებელ მუშაკებს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: საქ. ალკა სიღნაღის რაიკომის მდივნად არჩეულ იქნა რაიკომის ინსტრუქტორი არჩილ ბეჟაშვილი, რომელმაც თავი ვერ გაართვა სამუშაოს. რამდენიმე თვის შემდეგ იგი მოხსნეს. კადრებთან მუშაობის მხრივ სხვა კუთხით დგას საკითხი თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. აქ ადგილი აქვს კადრებისადმი არასწორ დამოკიდებულებას. არის იმის მაგალითები, რომ სპეციალისტები უთავბოლოდ გადაჰყავთ ერთი ადგილიდან მეორეზე. ამას მთელი სიცხადით ადასტურებს შემდეგი ფაქტი: ინჟინერმა ამხ. ი. გიორგობიანმა უკანასკნელად ორი წლის წინათ დაიწყო მუშაობა აღნიშნულ ფაბრიკაში. იგი დანიშნეს პროდუქციის ხარისხის კონტროლიორად. რამდენიმე ხნის შემდეგ ცვლის ოსტატად გადაიყვანეს. რამდენიმე თვე რომ იმუშავა, ამხ. გიორგობიანი დისპეტჩერად დანიშნეს. ცოტა ხნის მუშაობის შემდეგ ფაბრიკასთან არსებული სახარხნო-საფაბრიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ დაწინაურეს. შემდეგ სამღებრო - საპრეტურო საამქროს უფროსის მოადგილედ დანიშნეს. აქედან კვლავ დისპეტჩერად გადაიყვანეს, ხოლო ამჟამად ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის უფროსად და ხარისხის ლაბორატორიის გამგედ მუშაობს. და, ბოლოს, როგორც გამოირკვა, ამხ. გიორგობიანი ამ დღეებში დანიშნეს ფართო მოხმარების საქონლის საამქროს უფროსად. ხოლო ასეთი საამქრო ფაბრიკაში ჯერ არ არსებობს. ასე, რომ 2 წლის განმავლობაში ამხ. გიორგობიანს 8 თანამდებობა გამოაცვლევინეს.

მოყვანილი ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში დასაწინაურებელ ამხანაგებს ამტკიცებენ შეუსწავლელად. სწორედ ამიტომ აქვს ადგილი მუშაკების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გაუმართლებლად გადაყვანას.

უნდა გვახსოვდეს, რომ კადრების განაწილების დროს საჭიროა განსაკუთრებით ფრთხილი მიდგომა. არ შეიძლება კადრების შესწავლის დროს იხელმძღვანელო მარტო ბიოგრაფიული ცნობებით. რა თქმა უნდა, ეს საჭიროა და აუცილებელიცაა, მაგრამ ამასთანავე ერთად აუცილებელია სისტემატურად ვსწავლობდეთ კადრებს მუშაობის პროცესში, ვმსჯელობდეთ მათ შესახებ მათი პრაქტიკული მუშაობის შედეგიანობის მიხედვით.

მაგრამ ისიც არ იქნება სწორი, რომ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების კადრების განყოფილებების მუშაობა განვსაზღვროთ კადრების მხოლოდ შერჩევით და მათი დამტკიცებით ამა თუ იმ ხელმძღვანელ სამუშაოზე. აუცილებელი და მიზანშეწონილია კადრების განყოფილების მუშაკები პირადად სწავლობდნენ ადამიანებს, იცნობდნენ მათ არა მარტო ანკეტებით, არამედ მათი პრაქტიკული საქმიანობით. ამისათვის კი საჭიროა გაეცნონ, თუ როგორ სრულდება პარტიისა და მთავრობის დირექტივები იმ წარმოებაში, იმ ორგანიზაციაში, სადაც მუშაობენ ესა თუ ის ხელმძღვანელი მუშაკები, იცოდე როგორ მუშაობენ ისინი ორგანიზაციაში, დროზე იძლევიან თუ არა სიგნალებს, შეხვედ მათ მუშაობაში, გაერკვე—როგორი ავტორიტეტით სარგებლობენ უპარტიო მასებში.

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ სწორად შევარჩიოთ კადრები, დავაფასოთ და გავუფრთხილდეთ მათ როგორც პარტიისა და სახელმწიფოს ოქროს ფონდს, გულდასმით შევისწავლოთ მუშაკის ღირსება და ნაკლი, დავეხმაროთ თვითეულ მუშაკს მინდობილი საქმის საუკეთესოდ შესრულებაში, დროზე დავაწინაუროთ ნაჩეური და უნარიანი ადამიანები, დაუღალავად ვიმუშაოთ მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, განვამტკიცოთ ის ძვირფასი თვისებანი, რომლებიც ძველ და ახალ კადრებში მოიპოვება, შევქმნათ დასაწინაურებელ მუშაკთა რეზერვი. ამ საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს და კერძოდ მათი კადრების განყოფილებებს.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ **სტალინის** სიტყვები, რომ „შეიძლება დამაკმაყოფილებლად დაყენო პარტიის შემადგენლობის რეგულირებისა და ძირეულ მუშაობასთან ხელმძღვანელი ორგანოების მიახლოების საქმე; შეიძლება დამაკმაყოფილებლად დაყენო კადრების დაწინაურების, მათი შერჩევის, მათი განაწილების საქმე; მაგრამ თუ ყოველივე ამასთან ერთად რატომღაც კოჭლობას იწყებს ჩვენი პარტიული პროპაგანდა, თუ დაჩიავებას იწყებს ჩვენი კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის საქმე, თუ სუსტდება ჩვენი მუშაობა ამ კადრების პოლიტიკური და თეორიული დონის ამაღლების ხაზით, თვითონ კადრებს კი ამასთან დაკავშირებით აღარ აინტერესებთ ჩვენი წინსვლის პერსპექტივა, აღარ ესმით ჩვენი საქმის სიმართლე და უპერსპექტივო საქმოსნებად იქცევიან, რომლებიც ბრმად და მექანიკურად ასრულებენ ზემოდან მიღებულ მითითებებს,—მაშინ უსათუოდ დაჩაგდება მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობა“.

ბელადის ამ ბრძნულ მითითებაში მთელი სიღრმით არის დასმული კადრების მარქსისტულ - ლენინურად აღზრდის საკითხი, მათი იდეურად გამოწრთობის საკითხი. კადრები გამუდმებით უნდა სწავლობდნენ საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, წარმატებით ეუფლებოდნენ სტალინური მუშაობის სტილს.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის საჰაერო ბრძოლების ცნობა

ბერლინი, 9 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის შემდეგს ცნობას: „როგორც უკვე ვიუწყებოდით, 7 აგვისტოს, ღამით, ჩვენმა ტორპედიანმა კატარღებმა იერიში მიიტანეს მტრის გემების ქარავანზე, რომელიც ძლიერი ბადრაგის თანხლებით მიდიოდა. ჩვენმა ტორპედიანმა კატარღებმა ჩასძირეს ტანკერი (8 ათასი ტონა) და 2 გემი (5 ათასი და 4 ათასი ტონა). ერთ პატარა ტანკერს ცეცხლი გაუჩნდა. ჩვენი ტორპედიანი კატარღები უვნებელნი დაბრუნდნენ.

8 აგვისტოს გერმანიის მოპაერე ყუმბარმშენებმა ავიაგამანადგურებლებისა და მოაერიშე თვითმფრინავების დახმარებით, იერიში მიიტანეს ინგლისის გემების ქარავნებზე, რომლებიც მიდიოდნენ უაიტის კუნძულის სამხრეთით და რომლებსაც იცავდნენ თვითმფრინავები და სამხედრო გემები. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ იერიშის დროს ჩაძირულ იქნა 12 სავაჭრო გემი 55 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა. 7 სხვა სავაჭრო გემი სერიოზულად დაზიანდა. ინგლისის გემების საერთო რაოდენობა, რომლებიც გუშინ ჩვენმა ავიაციამ ჩასძირა ან სერიოზულად დააზიანა, 28 ერთეულს შეადგენს. დუვრის მახლობლად ჩვენმა „მესერშმიდტის“ ტიპის მფრინავებს შორის, რამდენიმე საჰაერო ბრძოლა მოხდა. არსებული ცნობებით, ჩამოგდებულია გერმანიის სულ ცოტა 6 მოპაერე ყუმბარმშენი და 3 ავიაგამანადგურებელი. ინგლისის 2 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

ჩინეთის ჯარის კონცენტრაცია საფრანგეთის ინდო ჩინეთის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ინდოჩინეთის საზღვარზე, კაობანის მახლობლად, თავმოყრილია ჩინეთის 200-ათასიანი ჯარი. მას განზრახვა აქვს ხელთ იგდოს ხანოი-კუნმინის რკინიგზა, თუ იაპონელები შეეცდებიან შეიჭრან საფრანგეთის ინდო-ჩინეთში.

საფრანგეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის სამხედრო მისია, იაპონელთა პროტესტების მიუხედავად, ხანოიში რჩება. არსებული ცნობებით, მისია ცდილობს უკან მიიღოს დიდძალი სამხედრო მასალა, რომელიც კონფისკებულ იქნა ხაიფონში.

საუკანგეთის ყოფილი მინისტრების საქმე

ლონდონი, 9 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ კლერმონ-ფერანის მახლობლად მალე დაიწყება საფრანგეთის უმაღლესი სასამართლოს სხდომები საფრანგეთის იმ ყოფილი მინისტრების საქმის გასარჩევად, რომელნიც პასუხისმგებელი არიან ომის გამოცხადებისა და გაძღოლისათვის. ჯერჯერობით, როგორც სჩანს, ბრალდებულთა სრული სია კიდევ არ არის, მაგრამ დალადიე, მანდელი, კამპინკი და დელბოსი, რომელნიც დროებითი ზავის დადების შემდეგ კასაბლანკას გაიქცნენ, სამართალში არიან მიცემულნი და დაკითხული იქნებიან. დალადიე ამჟამად იმყოფება ორანჟში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ. ოთხი ბრალდებულიდან მხოლოდ მანდელია დაპატიმრებული.

როგორც მოელიან, სასამართლოს პირველი სხდომა წმინდა ფორმალური იქნება და მხოლოდ შემდეგი სხდომები მიეძღვნება „მოწმეთა“ დაკითხვას და საბრალდებო აქტის გამოქვეყნებას.

ღვთივიღთა თავმოყრა საუკანგეთის არაოკუპირებულ რაიონებში

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, წითელი ჯვრის ამერიკული ორგანიზაციის წარმომადგენელმა პარიზში აღნიშნა განაცხადა, რომ საფრანგეთის არაოკუპირებულ რაიონებში თავმოყრილია 5 მილიონი ლტოლვილი, მათ შორის 3,5 მილიონი ფრანგი, 1 მილიონი ბელგიელი, 500 ათასი ჰოლანდიელი, ესპანელი და ლუქსემბურგის მცხოვრები.

ჩინეთის ჯარის კონცენტრაცია საფრანგეთის ინდო ჩინეთის საზღვარზე

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო (საკდესი). იუნაიტედ პრესის საააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ინდოჩინეთის საზღვარზე, კაობანის მახლობლად, თავმოყრილია ჩინეთის 200-ათასიანი ჯარი. მას განზრახვა აქვს ხელთ იგდოს ხანოი-კუნმინის რკინიგზა, თუ იაპონელები შეეცდებიან შეიჭრან საფრანგეთის ინდო-ჩინეთში.

საფრანგეთის წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის სამხედრო მისია, იაპონელთა პროტესტების მიუხედავად, ხანოიში რჩება. არსებული ცნობებით

სსრ კავშირის I-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

(დასასრული)

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. მ. გ. პერვუხინის დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ა. ნ. კოსიგინის დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი** სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის სახალხო კომისრების დანიშვნის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნულ არიან:

სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სახალხო კომისრად — ივანე ოსიდორეს-ძე **ნოსენკო,**

სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრად — ალექსანდრე ილარიონის-ძე **ეფრემოვი,**

სსრ კავშირის ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სახალხო კომისრად — ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ჩებოტარევი,**

სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისრად — ალექსანდრე აკიმის-ძე **ობკოვი,**

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისრად — ილია ნიკოლოზის-ძე **აკიმოვი,**

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრად — თედორე ვასილის-ძე **სერგეევი,**

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ — ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **სოკოლოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ს. კ. ტიმოშენკოს განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

საბჭოთა კავშირის მარშალის ტიმოშენკოს კონსტანტინეს-ძე **ტიმოშენკოს** სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრად დანიშვნასთან დაკავშირებით, განთავისუფლებულ იქნას იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

„წითელი არმიის მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის სამხედრო სახელწოდებათა დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულება „წითელი არმიის მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის სამხედრო სახელწოდებათა დაწესების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

„სამხედრო - საზღვაო ფლოტის მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის სამხედრო სახელწოდებათა დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულება „სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის სამხედრო სახელწოდებათა დაწესების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

„რვასაათიან სამუშაო დღეზე, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება „რვასაათიან სამუშაო დღეზე, შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

„მანქანა - ტრაქტორთა სადგურებში მომუშავე ტრაქტორისტებისა და კომბაინერების სამუშაოდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 17 ივლისის ბრძანებულება „მანქანა - ტრაქტორთა სადგურებში მომუშავე ტრაქტორისტებისა და კომბაინერების სამუშაოდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

„სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1940 წლის 7 აგვისტო.

ესტონელი ხალხის ზეიმი

ტალინი, 8 აგვისტო (საკდესი). ესტონეთის რესპუბლიკის მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებას ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახში ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ. ყველა ქალაქსა, დაბასა და სოფელში შესდგა სოციალისტური პარლამენტის ისტორიული გადაწყვეტილებისადმი მიძღვნილი მძლავრი დემონსტრაციები და მიტინგები. ტაურის ქალაქის ფაბრიკის მუშებმა, ელვის, პაიდეს, ოტეპიას, ჯეილის, რაკვერეს, ვილიანდის და მრავალი სხვა ქალაქისა და დაბების მცხოვრებლებმა უსაზღვრო მადლობა უძღვნეს **ლენინ-სტალინის** პარტიას, საბჭოთა მთავრობას, წითელ არმიას, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს, რომლებმაც ესტონეთი პლუტოკრატიული ხროვის უღლისაგან გაათავისუფლა.

ბევრ ქალაქში ჩატარდა დიდი სახალხო მიტინგები და კრებები, რომლებზედაც გამოდიოდნენ ხალხის მიერ არჩეულნი — ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები, აგრეთვე ესტონეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები. ჯიარდლას ვოლოსტში, ისე როგორც ესტონეთის სხვა ვოლოსტებში, დღეს განსაკუთრებული ტალახი „ინტერნაციონალი“ და სხვა რევოლუციური სიმღერები. ჭალაქ პაიარნუს მშრომელები ჭიჭაში გამოვიდნენ შემდეგი ლოზუნგით: „მივილამებით ესტონეთის შესვლას სსრ კავშირში“. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 8 ათასმა კაცმა.

ქალაქ ნარვში — საფეიქრო მრეწველობის ცენტრში — გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 15 ათასმა კაცმა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ **ლენინის, სტალინის, ვოროშილოვის** პორტრეტები, მათი რიგებიდან გაისმოდა მისასალმებელი შეძახილები ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც ქალაქ ნარვის მშრომელები სიტყვას იძლევიან, რომ მთელ თავის ძალას, ცოდნასა და ენერგიას მოახმარებენ ხელოვრების გარდაქმნას ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე.

დღეს ქალაქი ტარტუ სადღესასწაულო სანახავია. ყველა სახლი მორთულია წითელი ბაირაღებით, ტრანსპარანტებით. ყველგან მოსჩანს ამხანაგების **სტალინის, მოლოტოვის, კალინინის** პორტრეტები. ტარტუს 30 ათასი მცხოვრები — ჯერ მოუსწრებლად მოეფინა ქუჩებში გამოსული მუშები, მოსამსახურენი, ესტონეთის ერთადერთი უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები. ქოლონების წინ ფრიალებდა ესტონეთის კომუნისტური პარტიის სამაზრო კომიტეტის ძველი საბრძოლო წითელი დროშა. ვეებერთელა წითელ ტილოებზე დაწერილია: „მაღლა ავწიოთ ლენინ-სტალინის დროშა, ამ დროშით გამარჯვების მოვიპოვებთ“. დემონსტრაცია დამთავრდა, მაგრამ ჯერ ქუჩებში კიდევ დიდხანს გაისმოდა მხიარული სიმღერები.

სამუდამოდ გაჰკრინენ ესტონელი ხალხის ცხოვრების მძიმე დღეები, სამუდამოდ მოისპო პლუტოკრატიული რეჟიმი. ახლა ესტონელები დიადი ძმური ერების დიადი ძმური ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრები არიან. დემონსტრაციებზე, მიტინგებსა და კრებებზე მათ გამოსთქვეს მხურვალე სურვილი, რომ თავიანთ ძალას მოახმარებენ თავისი სოციალისტური სამშობლოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აყვავებას, სსრ კავშირის სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების განმტკიცებას.

მოსწავლეთა მიღება ესტონეთის უმაღლეს სასწავლებლებში

ტალინი, 8 აგვისტო (საკდესი). ესტონეთში ორი უმაღლესი სასწავლებელია — ტარტუს უნივერსიტეტი და ტალინის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. ამ უმაღლეს სასწავლებლებში წინათ უმთავრესად კაპიტალისტებისა და რუხი ბარონების შვილები სწავლობდნენ. მშრომელები ძნელად მოხვდებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, ვინაიდან სტუდენტებს ყოველწლიურად უნდა შეეტანათ სწავლის დიდი ქირა.

განათლების სამინისტროს განკარგულებით, სწავლის ქირა გაუქმებულია. დადგენილია ესტონეთის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესი.

განცხადებათა განსახილველად შეიქმნება კომისიები, რომლებშიც შევლენ რექტორატის, კომუნისტური პარტიის და პროფკავშირთა წარმომადგენლები. უმაღლეს სასწავლებლებში პირველ რიგში მიღებულ იქნებიან მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის შვილები.

უნივერსიტეტში მომდინარე წელს მიღებულ იქნება 730 კაცი, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში განზრახულია მიღებულ იქნას 200 კაცი.

ესტონეთი ისტორიული გადაწყვეტილების დღეს

ტალინი, 6 აგვისტო (საკდესი). ესტონეთის ყველა გაზეთი ფართოდ აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალებს, გამოქვეყნდა იმ სპეციალური კორესპონდენტთა უმრავი შენიშვნები, რომლებიც ესტონეთის სრულუფლებიან კომისიას გაჰყვნენ მოსკოვს.

გაზეთები უკვე რამდენიმე დღეა აქვეყნებენ უთმავ მისალმებებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიისადმი ესტონეთის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეებისაგან.

ქალაქებსა და სოფლებში ტარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები.

მოეწყვნებზე, სტადიონებზე, ბაღებში, ქუჩებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, სამხედრო ჯაზარმებში — ყველგან დადგმულია რადიორეპროდუქტორები. მზადდება კოლექტიური რადიომოსმენა. ესტონეთის მთელი ხალხი სიხარულით ხვდება დიად ისტორიულ დღესასწაულს.

ესტონეთი იმსჯელებს ახალ საარჩევნო კანონზე

ტალინი, 8 აგვისტო (საკდესი). ესტონეთის სახალხო წარმომადგენელთა დროებითი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ტარტუში შედგა, განხილულ იქნა ესტონეთის რესპუბლიკის საარჩევნო კანონის პროექტი.

ესტონეთის ახალი საარჩევნო კანონის პროექტის მიხედვით, ესტონეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა, აქვს ხმის მიცემის უფლება. ხმის მიცემა ფარული და უნივერსალურია. ხმის მიცემა შეუძლიათ ყველა ეროვნების მოქალაქეებს.

ესტონეთის ხალხის ნება

ტალინი, 8 აგვისტო (საკდესი). ესტონეთის ხალხის ნება ერთხმად გამოთქმულია ესტონეთის სახალხო წარმომადგენელთა დროებითი სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე, რომელიც ტარტუში შედგა.

სხდომაზე ერთხმად მიიღეს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სსრ კავშირში შესვლის შესახებ.

სხდომაზე ერთხმად მიიღეს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საარჩევნო კანონი.

სხდომაზე ერთხმად მიიღეს ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სსრ კავშირში შესვლის შესახებ ესტონეთის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე წარდგენის შესახებ

ბოლშევიკურად ვემზადოთ სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავისათვის

კამოს სახელობის ქარხანაში

ტრესტ „სერგოუგოლის“ ცენტრალნაია-ირმინოს შახტის მაღაროელთა მიმართვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტურ საწარმოებში გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა სტახანოვური მოძრაობის 5 წლისთავის მაღალი მაჩვენებლებით აღნიშვნისათვის.

სამწუხაროდ, ეს არ ითქმის თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაზე, რომლის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები (პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. ციტოხცევი და ქარხკომის თავმჯდომარე ამხ. მ. სამოხვალოვი) ვერ ჩაუდგნენ სათავეში მუშათა საწარმოო ენტუზიაზმს და ვერ უზრუნველჰყვეს ამ სახელოვანი თარიღისათვის მზადების ბოლშევიკურად გაშლა. მათ მაშინ მოაგონდათ ქარხნის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის გაეცნოთ ეს მომართვა, როდესაც თვით მუშებმა მოითხოვეს საქმით გამოხმაურებოდნენ ცენტრალნაია - ირმინოს შახტის მაღაროელებს და დაუყოვნებლივ გადაესინჯათ ის ვალდებულებები, რომლებიც ნაკისრი აქვთ მესამე სტალინური ხუთწლედის სოციალისტური შეჯიბრებით.

ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ქარხნის პროდუქციის 15 პროცენტი წუნდებული აღმოჩნდა. წუნი უმთავრესად თუჯის სხმულზე მოდის, რაც აიხსნება ყალიბთა უვარგისობით. ჩამომსხმელი საამქრო სათანადოდ ვერ აწრობს ყალიბებს, რაც წუნს იწვევს.

„სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტის დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შემდეგ ქუთაისის საწარმოებში მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, იკლო გაცდენის და დაგვიანების შემთხვევებმა, ყოველივე ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა საწარმოო გეგმების შესრულებაში.

ამ მხრივ გამოირჩევიან: ვ. მ. ბაქრაძის სახელობის აბრეშუმის კომბინატი, სადაც ივლისის გეგმა 103 პროცენტით შესრულდა და ტყავფეხსაცმლის კომბინატი, სადაც თვიური გეგმის შესრულება 104,4 პროცენტს უდრის.

მაგრამ ეს არ ითქმის ყველა საწარმოზე. მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა მაგალითად, კვლავ გარღვევაში იმყოფება, მაუდის ფაბრიკამ ნახევარი წლის გეგმა 88,3 პროცენტით შეასრულა.

ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზი შრომის მოუწესრიგებლობა და შრომის დისციპლინის მოუგვარებლობაა. ერთი თვის განმავლობაში (27 ივნისიდან 29 ივლისამდე) საკონსერვო ქარხანაში 19 კაცმა დაბრუნა შრომის დისციპლინა; ტყავფეხსაცმლის კომბინატში დაგვიანების 24 შემთხვევა იყო, იქ გაცდენილია 195 წუთი, გაცდენის შემთხვევებია აბრეშუმის კომბინატშიც.

გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები რომ აქამდე საგრძნობლად აღმოფხვრილი არ არის, ამაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვით სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულებით დაკანონებულია შრომის დეზორგანიზატორთა საქმეების უმოკლეს ვადაში გარჩევა. მაგრამ ზოგჯერ ადგილი აქვს კანონის დამრღვევთა საქმეების გაჭიანურებას. ქალაქის პროკურატურის გამომძიებელს ამხ. მ. ხერხაძეს 30 ივლისისათვის წარმოებაში ჰქონდა 8 ისეთი საქმე, რომლებზეც ძიება ჯერ დამთავრებული არ არის. მათ შორის 6 საქმე აღძრულია 20 ივლისამდე. გამომძიებელ ამხ. ს. თვალავაძესთან წარმოებაში აღმოჩნდა 13 საქმე, მათ შორის 7 საქმე აღძრულია 20 ივლისამდე. 5 ივლისს კიროვის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის დირექციამ პროკურატურაში აღძრა საქმე ფაბრიკის მუშის ი. რ. ჩიკვაშვილის მიმართ, რომელმაც 3 ივლისს უხეშად დაარღვია შრომის დისციპლინა. გამომძიებელმა ხერხაძემ სასამართლოს მხოლოდ 31 ივლისს გადასცა საბრალდებო მასალები ჩიკვაშვილის შესახებ. „კეჩის“ კომენდანტმა რ. ი. აუხატიმ 29 ივნისს სამუშაო დღე გააცდინა. საქმე პროკურატურაში აღიძრა 3 ივლისს, 4 ივლისს იგი გამომძიებელს ს. თვალავაძეს გადასცეს. დაიწერა საბრალდებო დასკვნა. საქმე მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს უნდა გაერჩია, მაგრამ დაიწყეს ფუსფუსი, გამონახეს სხვადასხვა „მიზეზები“... სასამართლომ საქმე ისევ პროკურატურას დაუბრუნა. ის დღესაც დაუმთავრებელია. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა.

შრომის დისციპლინის დამრღვეველთა საქმეების გარჩევა დანაშაულებრივად ჭიანურდება ქუთაისის რკინიგზის კვანძზეც. 9 ივლისს საოლქო სასამართლო დეპოს მემანქანის თანაშემწემ კ. ძოწენიძემ სამუშაო დღე გააცდინა. ასევე მოიქცა მემანქანის მეორე თანაშემწე ვ. ჯინორიძე. ისინი, ცხადია, პასუხისგებაში მისცეს. 12 და 13 ივლისს მათი საქმე ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის პირველი განყოფილების პროკურორ ამხ. ი. ბანცაძესთან აღიძრა. მსჯავრმა პროცესი დღემდე არ მოუწყვიათ. ამგვარსავე მდგომარეობაშია პროკურორ ბანცაძესთან — 10-12 დღის წინათ აღძრული საქმეები დეპოს მასალის მიმწოდებელ ნ. რუდინას, მეისრე შ. გვენცაძის, მემანქანის თანაშემწე ბ. ლორიას და სხვათა მიმართ, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს დისციპლინა. სასამართლოს ჯერ არცერთი მათგანის საქმე არ განუხილავს.

ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ მეტად საგულისხმო ფაქტზე. ქალაქის ზოგიერთი საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელი, უგულებელჰყოფს რა საბჭოთა ადამიანისადმი გულისხმიერად მოპყრობას, სრულიად უსაფუძვლოდ სთხზავს სისხლის სამართლის საქმეებს უდანაშაულო მოქალაქეთა მიმართ.

12 ივლისს ქუთაისის ქალაქის პროკურატურამ საქჭარხმშენის ქუთაისის განყოფილების უფროსის ამხ. გ. მელაძის ხელმოწერით შიდო „დასაბუთებული“ მასალა იატაკის დამგები მუშების ი. ხომიუკის, გ. მიროშნიჩენკოს და პ. სარიჩინკის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მელაძისავე ხელმოწერილ დოკუმენტში ვკითხულობთ, თითქოს აღნიშნულმა მუშებმა 2 ივლისს სამუშაო მიატოვეს. გამომძიებელი ამხ. ს. თვალავაძე მაშინვე შეუდგა საქმის შესწავლას. გამოიძახა „ბრალდებულნი“ და რა გამოირკვა? ხომიუკს, მიროშნიჩენკოს და სარიჩინკის 2 ივლისს არცერთი წუთი არ გაუცდენიათ, ისინი მთელი დღე ახალი სკოლის მშენებლობაზე მუშაობდნენ, რაც, სამწუხაროდ, არც საქჭარხმშენის ქუთაისის განყოფილების უფროსს გ. მელაძეს და არც ინჟინერ მ. ჩიქოვანს არ სცოდნიათ.

ისე გამოვიდა, რომ ხომიუკმა და სხვებმა კი არ დაარღვიეს შრომის ახალი კანონი, არამედ სწორედ ამხ. გ. მელაძის წინდაუხედავი მოქმედებით მოცდნენ ისინი სამუშაოს პროკურატურაში რამდენჯერმე გამოძახების გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის ზოგიერთი საწარმო - დაწესებულების პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მუშა-მოსამსახურეთა, განსაკუთრებით წარმოებაში ახლადმოსულთა შორის, სისტემატურად არ ეწევიან ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას შრომის ახალი კანონის შესახებ. ამიტომ არის, რომ ამ კანონს უმთავრესად ახლადმოსული მუშები არღვევენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულების გატარების საქმეში კამპანიურობას ბოლო უნდა მოეღოს. საგამომძიებლო ორგანოებმა და სახალხო სასამართლოებმა დაწესებულ ვადებში უნდა დაამთავრონ წარმოების დეზორგანიზატორთა საქმე და ულმობლად დასაჯონ ისინი.

გაზეთ „კომუნისტისა“ და გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის“ მიერ ქალაქ ქუთაისის საწარმოებში მოწყობილი რეიდის მონაწილენი: **გრ. რუხაძე, დ. ჯანგავაძე, შ. დოგრაშვილი, ალ. კუხიანიძე, ნ. იობიძე, დ. ჭანტურიძე, ი. მინაძე, მ. გუგუნავა, ნ. კოვზირიძე, ი. გოგიშვილი, გ. ყურაშვილი.**

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო აქტივის კრება

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ პარტიის ქალაქკომის პლენუმის წევრები და კანდიდატები, ქალაქკომის სარევიზიო კომისიის წევრები, პარტბიუროებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები — კომუნისტები.

კრებაზე მოსმენილ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის მდივნის ამხ. გრ. ნარსიას მოხსენება ხელმძღვანელი პარტორგანოების ანგარიშგება-არჩევნების დროს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების შედეგებზე.

ამხ. გრ. ნარსიამ კონკრეტული მაგალითებით დაასაბუთა, რომ სანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ქალაქის პირველადმა პარტორგანიზაციებმა ბოლშევიკურად ჩასჭიდეს ხელი კრებებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებას და ბოლო მოუღეს შეუფასებლობას, რომელსაც ისინი იჩენდნენ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებისადმი. პარტიის ქალაქკომის ბიურომ მაისში სპეციალურად შეისწავლა ქალაქის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა ამ განხრით და სათანადო ღონისძიებანიც დასახა შემჩნეულ დეფექტთა გამოსწორებისათვის. ასევე ივლისში, აქტივის კრების მოწვევის წინ, შერჩევით შემოწმდა 70 პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობა თუ როგორ შეასრულეს მათ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებული დადგენილებანი და როგორ აქვთ დაყენებული შესრულების შემოწმების საქმე. აღმოჩნდა, რომ შემოწმებული 70 პირველადი პარტორგანიზაციიდან საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ დადგენილებებს კარგად ანხორციელებს და შესრულების შემოწმებას ბოლშევიკურად აწყობს 52 პირველადი პარტორგანიზაცია.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მიღებულ დადგენილებას თანმიმდევრობით ასრულებენ: ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს (მდივანი ამხ. ა. ჭოხონელიძე), საქენერგოს მესამე რაიონის პარტორგანიზაცია (მდივანი შ. თავბერიძე), საქვაჭრობის ქუთაისის განყოფილების პარტბიურო (მდივანი ამხ. ი. ნიკიფი), რკინჰესის პარტბიურო (მდივანი ამხ. ერ. გვასალია), საქპურტრესტის ქუთაისის განყოფილების პარტბიურო (მდივანი ამხ. ი. ხაჩატუროვი) და სხვ.

შემდეგ ამხ. გრ. ნარსიამ აქტივის კრებას გააცნო იმ პირველადი პარტორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობა, რომლებმაც ჯერ კიდევ ბეჯითად არ მოჰკიდეს ხელი საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ბოლშევიკურად დაყენებას. ასეთების რიცხვს ეკუთვნიან მაუდის ფაბრიკის პარტბიურო (მდივანი ამხ. შ. კიკოლიაშვილი), ქალაქის საბჭოს სოცუზრუნველყოფის განყოფილების პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. გ. გორგიძე), მიქოიანის სახ. საკონსერვო ქარხნის პარტბიურო (მდივანი ამხ. ი. ჩაფიძე), ქალაქის საბჭოს აღმასკომის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. კ. კეკელია), კირის ქარხნის პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. წიქარიშვილი), საგრენაჟო ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. რობაქიძე), რკინიგზის დეპოს პარტბიურო (მდივანი ამხ. ჩუტლაშვილი).

მაუდის ფაბრიკის პარტბიუროს ამ საქმეში გაუსწრეს ფაბრიკის საამქროთა პარტორგანიზაციებმა. მაგალითად, ფაბრიკის ანგარიშის პარტიულმა ორგანიზაციამ 4 ივლისს განიხილა ფაბრიკის მომარაგების განყოფილების მუშაობის შესახებ პირველადი პარტორგანიზაციის 25 აპრილის დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგები. პარტბიუროს, რომელიც თავისი მუშაობით მაგალითს ძირეულ პარტორგანიზაციებს, საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ ერთგვარად არ შეუმოწმებია მიღებულ დადგენილებათა შესრულების მდგომარეობა.

შემდეგ ამხ. გრ. ნარსიამ დაწვრილებით ილაპარაკა ჩმაზე, თუ რა მუშაობა ჩაატარა საქალაქო კომიტეტის ბიურომ საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის მე-9 საქალაქო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, მუხლობრივად წაიკითხა კონფერენციის დადგენილება და ჩამოსთვალა მისი შესრულების შედეგები.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ნ. გაფრინდაშვილმა (აბრეშუმის კომბინატის პარტბიუროს მდივანი), შ. გაბელიამ (ქალაქკომის სამხედრო განყოფილების გამგე), ვ. ლალიაშვილმა (ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე), ა. ჭოხონელიძემ (ტყავფეხსაცმლის კომბინატის პარტბიუროს მდივანი), ს. აბუთიძემ (წულუკიძის სახ. პედინსტიტუტის პარტბიუროს მდივნის მოადგილე), დ. გედენიძემ (მშენებლობის პარტბიუროს მდივანი), ჰ. თედორაძემ (ქალაქკომის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე), ი. ჩაფიძემ (მიქოიანის სახ. საკონსერვო ქარხნის პარტბიუროს მდივანი), ს. აბულაძემ (ლიტოპონის ქარხნის პარტბიუროს მდივანი), ტიულპანოვმა, გ. ხოშტარიამ (ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე) და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აქტივის კრებას გააცნეს ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ ჩატარებული მუშაობა და ამხილეს ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ როგორც ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციების, ისე ქალაქის სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებისა და საწარმოთა მუშაობაში.

მოხსენების გამო აქტივის კრებამ მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი, (საქდესი). 6 აგვისტოს ჩატარდა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოხსენებით პარტიულ - მასობრივ, საორგანიზაციო - პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ გამოვიდნენ სტალინის სახელობის ნავთსახდილი ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი ამხ. ლ. სტეფანოვი და „გლავნეფტესბიტის“ ბათუმის საოლქო კანტორის საწარმოთა პარტიული ბიუროს მდივანი ამხ. ა. ჯაში. კამათში მოხსენებათა გამო 8 ამხანაგი გამოვიდა.

მეორე საკითხად პლენუმმა განიხილა პარტიაში მიღების შედეგები და პარტიაში ახლადმიღებულებთან მუშაობის საკითხი. ამ საკითხების გ. ჭურაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ბათუმი, (საქდესი). 6 აგვისტოს ჩატარდა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე მოხსენებით პარტიულ - მასობრივ, საორგანიზაციო - პროპაგანდისტული მუშაობის შესახებ გამოვიდნენ სტალინის სახელობის ნავთსახდილი ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი ამხ. ლ. სტეფანოვი და „გლავნეფტესბიტის“ ბათუმის საოლქო კანტორის საწარმოთა პარტიული ბიუროს მდივანი ამხ. ა. ჯაში. კამათში მოხსენებათა გამო 8 ამხანაგი გამოვიდა.

მეორე საკითხად პლენუმმა განიხილა პარტიაში მიღების შედეგები და პარტიაში ახლადმიღებულებთან მუშაობის საკითხი. ამ საკითხების



სტალინირი (სამხრეთ-ოსეთი). პარტგანათლების სახლის გამგე ამხ. თამარ ცხოვრებოვა (მარცხნივ) მითითებებს აძლევს პროპაგანდისტებს, თუ როგორ უნდა მოაწყონ ძირეული რგოლის წრეებში საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა.

ფოტო გ. ჩერკასოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

„თავდადებული“ მახნიაშვილი და უხვი ჯილდოები

საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომმა 1940 წლის მოსავლის აღებასთან და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებასთან დაკავშირებით საქვაჭრობის შირაქის განყოფილების მმართველი ამხ. მ. მახნიაშვილი მიამაგრა სოფ. გაფარიძის კოლმეურნეობა „შრომას“.

ამხ. მ. მახნიაშვილიც დატრიალდა და თავის გარდა კოლმეურნეობაში წაიყვანა საქვაჭრობის საბარგო ავტომანქანა. ფეხით ხომ არ ივლიდა მინდორში. რაუყოთ, რომ მანქანა მოსცდა წითელწყაროდან ნავთის სარეწაოებზე პროდუქტების მიწოდების საქმეს.

ამხ. მახნიაშვილმა საქვაჭრობის ავტომანქანით თითქმის ერთ თვეს დაყო კოლმეურნეობაში. „შრომის“ კოლმეურნეები თავგამოდებით იბრძოდნენ მოსავლის დროზე და მაღალხარისხოვნად ასაღებად და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩასაბარებლად. სასახელოდაც შეასრულეს ყველა დავალება: წარმატებით დაამთავრეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, თივის, ხორცის, მატყლის და რძის ჩაბარების გეგმები.

ეს კარგი, გეგმები წარმატებით შესრულდა, მაგრამ ხომ სათანადოდ უნდა შეფასდეს მიმაგრებული ამხანაგის „ღვაწლი“ ამ საქმეში! და აი კოლმეურნეობის გამგეობის მიერ კოლმეურნეობის აქტივთან ერთად 28 ივლისს „მოსავლის აღებისა და წარმატებით დამთავრებისათვის და დიდი ენერგიული მუშაობისათვის“ ამხ. მ. მახნიაშვილი დაჯილდოებულ იქნა ერთი სული დეკეულით.

კოლმეურნეობის გამგეობამ არც საქვაჭრობის შოფერი ამხ. ვ. რობიტაშვილი დაივიწყა და მასაც ჯილდოდ უბოძა კოლმეურნეობის ერთი 40-კილოგრამიანი ღორი და მტკიცე ფასებში მისცა 164 კილოგრამი ხორბალი.

სხვათა შორის, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომა, რომელზეც აღნიშნული საკითხები გადაწყდა, მოწვეული ყოფილა თვით ამხ. მახნიაშვილის ინიციატივით და ჩატარებულა მისივე აქტიური მონაწილეობით. ამხ. მახნიაშვილს ამ კრებამდეც კოლმეურნეობიდან მისი თავმჯდომარის ბ. პაპიაშვილის წყალობით „კარგი მუშაობისათვის“ საკმაოდ დიდი გასამრჯელო მიუღია: 16 ივლისს—16 კილოგრამი ყველი, ხოლო 23 ივლისს—32 კილოგრამი.

ამხ. მახნიაშვილმა ეს ჯილდო მიიღო, როგორც კანონიერი. ჩვენ კი ვიტყოდით, რომ არც კოლმეურნეობის გამგეობას და არც მის თავმჯდომარეს არ ჰქონდათ არავითარი უფლება აქეთ-იქით დაერიგებინათ ჯილდოების სახით კოლმეურნეობის ქონება.

სამწუხაროა, რომ ამ უმსგავსობაში ჩაჰყოლია საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის ორგანო—გაზეთი „ახალი შირაქი“, რომელმაც არა თუ არ ამხილა კოლმეურნეობა „შრომის“ საკუთრების განიავების ფაქტი, არამედ 4 აგვისტოს ნომერში მთელი გვერდი უძღვნა კოლმეურნეობას, მოათავსა კოლმეურნეობაზე მიმაგრებული ამხ. მ. მახნიაშვილის ფოტოსურათი და მისი „ღვაწლიც“ შემდეგნაირად შეაფასა:

„მიმდინარე წლის მოსავლის აღების და სახელმწიფოსათვის პროდუქტების ჩაბარების საქმეში შესანიშნავი წარმატებების მოპოვებისათვის კოლმეურნეები კმაყოფილნი არიან საქ. კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის მიერ მიმაგრებულ ამხ. მ. მახნიაშვილის პრაქტიკული დახმარებით“.

გაზეთის მლიქვნელურ ტონს რომ თავი გავანებოთ, ამბობენ, რომ აღნიშნული გვერდიც გაზეთში მოხვედრია ამხ. მახნიაშვილის ინიციატივით, რომელიც რედაქციას შეჰპირდა — თქვენ წერილი გაუშვით და მასთან დაკავშირებულ თანხებს კოლმეურნეობას გადავახდევინებო. ასეც მოხდა—30 ივლისს მახნიაშვილს მითითებით კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. პაპიაშვილმა რედაქციის წარმომადგენელს ს. სისორდიას სურათებისა (მათ შორის მახნიაშვილის) და კლიშეების დასამზადებლად მისცა 500 მანეთი. როგორც ხედავთ, გაზეთი „ახალი შირაქი“ და მისი რედაქტორი ამხ. ირ. მოლოდინი უძლურნი აღმოჩნდნენ ემხილებინათ მახნიაშვილისა და მისი გავლენის ქვეშ მოქცეულ პაპიაშვილის უმსგავსოებანი, პირიქით თვით მოექცნენ მახნიაშვილის გავლენის ქვეშ და „სათანადოდაც“ შეამკეს მისი „დამსახურება“.

ლ. ტურაშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ

ავხანაგო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 7 აგვისტოს ნომერში მოთავსებულია წერილი „ლიტერატურული თაღლითობისა და „ჩამწერი“ ნ. კაკუშაძის შესახებ“, რომელშიც მოხსენებული ვარ მეც, როგორც მხატვარი, რომლის მუშაობა „პლაიატს მოკლებული არ არის“. იმ წარწერის მიხედვით, რომელიც წიგნის ბოლო ფურცელზეა მოთავსებული—(მე აქ აღნიშნული ვარ როგორც ამ წიგნის მხატვარი), რედაქციას სრული უფლება ჰქონდა ასე შეეფასებია ჩემი „მუშაობა“. სიმართლის აღსადგენად უნდა განვცხადოთ შემდეგი: მე გავაფორმე ამ წიგნის მხოლოდ გარეკანი და დავამზადე მხოლოდ რამდენიმე ორნამენტი. წესია, წიგნზე მე უნდა ვყოფილიყავი აღნიშნული მხოლოდ როგორც ამ გარკვეული სამუშაოს შემსრულებელი. ჩემდა დაუკითხავად და ყოვლად უსაბუთოდ მთელი წიგნის გამფორმებლად ჩემი გამოცხადებისათვის მე, რასაკვირველია, პასუხს ვერ ვაგებ და მხოლოდ ისღა დამრჩენია, რომ ამის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი განვუცხადო წიგნის ავტორს. აქვე განვმარტავ, რომ ზოგიერთი თავსართავები მართლაც ამოღებულია თვით ნ. კაკუშაძის მიერ გაზეთ „კომუნისტიდან“, კრებული „სამშობლოდან“ და სხვა გამოცემებიდან. ამ პლაგიატისათვის პასუხი უნდა აგოს ნ. კაკუშაძემ.

მხატვარი რ. რევაზიშვილი.

პატივცემულო რედაქტორო!

წავიკითხე რა გაზ. „კომუნისტის“ № 181-ში ბ. აბულაძის და გრ. ნუკუბიძის წერილი „ლიტერატურული თაღლითობისა და „ჩამწერი“ ნ. კაკუშაძის შესახებ“, რომ აღნიშნულ წერილში მართებულად არის მხილებული ნ. კაკუშაძის ქმედობა

აღნიშნულ წიგნზე ვმუშაობდით მე და ნ. კაკუშაძე, ჩაწერების ვაწარმოებდი მე, სახელგამთან ხელშეკრულებაც ორიენ სახელზე იყო გაფორმებული, თუმცა შემდეგ ჩემი გვარი რატომღაც ამოუშლიათ. ზოგიერთ მასალის შეგროვებაზე ფული მე დავხარჯე. წიგნში ყოველი ლექსის ქვეშ სათანადო წარწერები უჭვენებდნენ ავტორის სრულ და სწორ ვინაობას.

დღიდან წიგნის წარმოებაში გადაცემისა, ხშირად ვკითხავდი კაკუშაძეს წიგნის ამბავს. პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო — უქალაღლობის გამო წიგნის ბეჭდვა შეჩერებულიაო და სხვა. ასეთივე პასუხი მომცა მან ა.-წ. 5 აგვისტოს, როცა წიგნი უკვე გამოსული ყოფილა.

წიგნი უნდა გამოსულიყო სათანადოდ დამუშავებული. მას უნდა ჰქონოდა: ლექსიკონი, საძიებელი, კომენტარები და სხვ., რის გაკეთებაც მე ვიკისრე და ბოლოს წიგნზე ჩვენი გვარები ან არ უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ იქნებოდა, უნდა ყოფილიყო შემდგენელთა სახით. ეტყობა ეს ნ. კაკუშაძეს არ მოეწონა და ასე საიდუმლოდ წიგნის გამოშვებით გადაუწყვიტა ჩემი ჩამოშორება, წაშალა გვარი კრებულზე (რაც ძალიან კარგი უქნია), ხელშეკრულებაში და სხვ.

ვისაც წუკითხავს „კომუნისტი“, წიგნებიდან: „ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში“, „საუნჯე“, „ი. ბ. სტალინი“ და გადახედავს ნ. კაკუშაძის წიგნს, რომელშიც 100-მდე ლექსს აწერია „ჩამწერი კაკუშაძე“, გაუკვირდება და იკითხავს: ჩამწერია თუ გადამწერიაო? ცხადია აქ უფრო გადამწერად გვევლინება ერეთერწოდებული ავტორი, რადგან მას უშუალოდ არსად არაფერი ჩაუწერია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სახელგამის ტუსჰალტერის ვ. მაისურაძის და ბ. გოციძის ლექსებს, რომელთა უშუალო ჩამწერი მართლაც კაკუშაძეა. დანარჩენი რამდენიმე ლექსის გამოკლებით, რაც ჩემი ჩაწერილია (წიგნში ჩემი ჩაწერილიც კაკუშაძეს მიუთვისებია), თითქმის ყველა ლექსი გამოქვეყნებული იყო „კომუნისტში“, წიგნებში—„ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში“, „საუნჯე“, და სხვა. ყველა ამ გადმოწერილი ლექსების ჩამწერად თავის თავს ასაღებს და თან, ალბად კვალის ასარევად, ლექსებს ავტორებს უცვლის. მაგალითები: ლექსი „სერგოს ხსოვნას“ (გვ. 121) ეკუთვნის ი. მეკიხოულს, მან კი მიაკუთვნა ლაშქარაშვილს, ლაშქარაშვილისათვის მიუკუთვნებია აგრეთვე გალ. რობაქიძის ცნობილი „დანგლა“ (გვ. 210), ასევე მოექცა ქადაგიძის ყველასათვის ცნობილ ლექსს (გვ. 73) „არ მინდა ვოლგას გამბა-გავსო“ და სხვ.

ვინ არის ეს ლაშქარაშვილი, რომელსაც ასე უხვად სწყალობს ნ. კაკუშაძე. არ ვიცი. ერთი კი ფაქტია—მისი გვარით გაშვებული ლექსები კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დადგეს, საჭიროა ამ ლექსების ავტორიზება, ვინ იცის შიგ კიდევ რამდენი „ლაშქარაშვილია“?.

ასეთია ნ. კაკუშაძის „საქმიანობა“.

ზ. ჰაპუკაშვილი.

ახალი წოლხვრელის მშენებლობა

ახარმარა, (საქდესი). სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ახარმარაში მეორე წოლხვრელის მშენებლობისა და სტალინის სახელობის შახტის რეკონსტრუქციის გენერალური ხარჯთაღრიცხვა და პროექტი. ამ მუშაობისათვის გადაცემულია 48.000.000 მანეთი.

ახალი წოლხვრელი, რომლის მშენებლობაც უკვე დაწყებულია, წელიწადში მოგვცემს 650 ათას ტონა ქვანახშირს.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რაიონის ხელმძღვანელობას მოწყვეტილი კოლმეურნეობა“

19 ივლისის „კომუნისტში“ დაიბეჭდა მამხილებელი წერილი „რაიონის ხელმძღვანელობას მოწყვეტილი კოლმეურნეობა“, რომელიც ეხებოდა გორის რაიონის სოფ. შინდისის კოლმეურნეობას. როგორც ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი გვატყობინებდა (იხ. 27 ივლისის „კომუნისტი“), საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიუროს 22 ივლისს ამ წერილის განხილვასთან დაკავშირებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. კვალიაშვილი პასუხისგებაში მისცა. იგი აგრეთვე მოიხსნა სამუშაოდან.

ჩვენ გავეცანით გორის პარტრაიკომის ბიუროს ზემოხსენებულ დადგენილებას, რომელშიც აღნიშნულია თითქოს სოფ. შინდისის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა რაიკომმა წინასწარვე იცოდა და ადრევე მიიღო ზომები დამნაშავეთა წინააღმდეგ, რომ „კომუნისტის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა, ჯრმელიც თითქოს მთელს ამ მასალას რაიკომში გაეცნო, არასწორად გააკრიტიკა გორის რაიონული ორგანიზაციები.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ გორის რაიონულმა ორგანიზაციებმა „კომუნისტის“ რედაქციის მიერ ადრევე გაგზავნილი გამოუქვეყნებელი წერილის შემოწმებისას, რაც ივნისის უკანასკნელ რიცხვებში მოხდა, წაყენებული ბრალდებებისაგან კ. კვალიაშვილი გაამართლეს. მაგრამ კვალიაშვილის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი გამოაშკარავდა მას შემდეგ, რაც სოფლკორთა სიგნალების საფუძველზე რედაქციამ ადგილზე მოახდინა შემოწმება, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ გორის რაიონის სათანადო ორგანოების წარმომადგენლებიც. გორის პარტრაიკომმა თუ ადრევე იცოდა კ. კვალიაშვილის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი, საინტერესოა რატომ წამოაყენა იგი თავისი ბ. წ. 29 ივნისის დადგენილებით სოფ. ძევერის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ?.

სოფ. შინდისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. კოლოტაშვილმა მიმდინარე წლის მაისში „ტყავნედლეულის“ გორის განყოფილებას ჩაბარა კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის 34 ცალი ტყავი, როგორც საკუთარი, რომლის საფასურად მან მიიღო როგორც ფული, ისე 471 დეციმეტრი შევრეტი. საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიუროს კი თავის 22 ივლისის დადგენილებით დ. კოლოტაშვილს მხოლოდ მიუთითა „უეთიკო“ მოქმედებაზე.

საქ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომმა და კერძოდ მისმა მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ უნდა მიიღონ ბოლშევიკური კრიტიკა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ გორის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამოწათმოქმედო ორგანოებმა უკეთესი ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ შინდისის კოლმეურნეობას შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

„ბოროტმომქმედს მფარველობენ“

„კომუნისტის“ 18 ივლისის ნომერში მოთავსებული იყო წერილი სათაურით — „ბო

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისზე

ლონდონი, 8 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო აქვეყნებს ინგლისის ავიაციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შეერთებულ კომუნიკეს, სადაც ნათქვამია, რომ 7 აგვისტოს, ღამით, გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები ჩაჰყარეს ინგლისის სხვადასხვა რაიონებში. ზარალი უმნიშვნელოა. რამოდენიმე კაცი დაიჭრა.

შეთანხმება გენერალ დე გოლსა და ინგლისის მთავრობას შორის

ლონდონი, 8 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გენერალ დე გოლსა და ინგლისის მთავრობას შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ეხება ინგლისში გენერალ დე გოლის არდლობის ქვეშ ამჟამად მყოფი ფრანგი მოხალისე ძალების ორგანიზაციის, გამოყენებისა და სამსახურის პირობების საკითხებს. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ინგლისში მყოფ ფრანგ მოხალისე ძალებს არავინ არ მოსთხოვს საფრანგეთის წინააღმდეგ გალაშქრებას და რომ შეძლებისგვარად ეს ძალები შეინარჩუნებენ საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ხასიათს; შინა განაწესი და დისციპლინა დაცულ იქნება საფრანგეთის არმიის წესდების შესაბამისად, დაცულ იქნება ფრანგული ენა და სხვა. გენერალი დე გოლი აღიარებულ იქნება ფრანგი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, მაგრამ დაექვემდებარება ინგლისის უმაღლესი სარდლობის საერთო ხელმძღვანელობას.

ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით, წერილების გაცვლა მოხდა გენერალ დე გოლსა და ჩერჩილს შორის.

რეიტერის სააგენტო ინგლისის სავაჭრო ფლოტის შევსების შესახებ

ლონდონი, 8 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის სავაჭრო ნაოსნობის სამინისტროს ცნობით, ინგლისის ხელში პოლონეთის, ნორვეგიის, დანიის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის სავაჭრო გემების გადასვლის შედეგად ინგლისისა და დომინიონების სავაჭრო ფლოტის ტონაჟი 10 მილიონზე მეტი ტონით გადიდდა. კერძოდ, ინგლისში იმყოფება ნორვეგიის გემები დაახლოებით 5,5 მილიონი ტონა წყალწყვისა, ჰოლანდიის გემები — 3 მილიონი ტონა წყალწყვისა და აგრეთვე საფრანგეთისა და ბელგიის გემები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ბეგარის შემოღების გამო

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო (საკდესი). ამერიკის პრესა, რადიო და საზოგადოებრიობა ამჟამად ფართო დისკუსიას ეწევიან ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ბეგარის შემოღების კანონპროექტის გამო. როგორც უკვე გამოქვეყნებული იყო, სენატის სამხედრო საქმეთა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც ყველა მამაკაცი 21-დან 31 წლის ასაკამდე უნდა გატარდეს რეგისტრაციაში სამხედრო სამსახურის გასავლელად. გაზეთების უმრავლესობა მოითხოვს, რათა კონგრესმა დაუყოვნებლივ მოიწონოს კანონპროექტი სამხედრო ბეგარის შესახებ, რის შემოღებასაც ცდილობენ რუზველტი, სამხედრო სამინისტრო და მთავრობის სხვა მთელი რიგი წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, როგორც პრესა იუწყება, კონგრესის წევრები დიდძალ წერილებს იღებენ იმ პირებისაგან, რომლებიც სამხედრო ბეგარის შემოღების წინააღმდეგ ილაშქრებენ. არსებული ცნობების თანახმად, კონგრესის ბევრ წევრს უნდა გადასდოს ამ კანონპროექტის გატარება პრეზიდენტის არჩევნების დამთავრებამდე.

6 აგვისტოს რკინიგზელთა ხუთი პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ერთად გამოვიდნენ სამხედრო ბეგარის შემოღების წინააღმდეგ მშვიდობიანობის დროს. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა მოითხოვა, რათა სამხედრო ბეგარის ნაცვლად გატარდეს მოხალისეთა გაწვევა არმიაში.

4 აგვისტოს ნიუ-იორკში შესდგა სამხედრო ბეგარის კანონპროექტის წინააღმდეგ საპროტესტო მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20 ათასზე მეტმა კაცმა. ეს მიტინგი მოაწყო „ომში მონაწილეობაზე უარის თქმით ამერიკის დაცვის კომიტეტმა“. 31 აგვისტოს კომიტეტი ჩიკაგოში აწყობს „საგანგებო მობილიზაციას მშვიდობიანობის სასარგებლოდ“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციათა დელეგატები.

რუზველტი იწონებს კანონპროექტს სამხედრო ბეგარის შესახებ, მაგრამ რესპუბლიკური პარტიის მიერ პრეზიდენტის პოსტზე წამოყენებულ კანდიდატს უილკის დღემდეც არ გამოუთქვამს თავისი აზრი ამ საკითხზე.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, არსებული ცნობების თანახმად, 16 შტატის გუბერნატორები მხარს უჭერენ სამხედრო ბეგარის შემოღებას. ზოგიერთი სხვა შტატების გუბერნატორებმა განაცხადეს, სანამ სამხედრო ბეგარას შემოვიღებდეთ, საჭიროა ჩავატაროთ მოხალისეთა გაწვევა არმიაში. არსებული ცნობების თანახმად, არმიის ხელმძღვანელებს გაუზრახავთ აქვთ უახლოესი წლინახევრის მანძილზე არმიაში გაიწვიონ 1.200 ათასი კაცი, თუ კონგრესი მოიწონებს კანონპროექტს 21-დან 31 წლის ასაკამდე მამაკაცთა არმიაში გაწვევის შესახებ.

საბჭოთა ფეხბურთელები სოფიაში

სოფია, 8 აგვისტო (საკდესი). გუშინ, დღისით, საბჭოთა ფეხბურთელებმა კარგი დასვენების შემდეგ პირველი წრთვნა ჩაატარეს „იუნაკის“ სტადიონზე, სადაც ამხანაგური შეხვედრები გაიმართება „სლავიის“ კლუბისა და სოფიის ნაკრებ გუნდებთან. წრთვნის დროს სტადიონზე მრავალი მაყურებელი შეიკრიბა. ესენი უმეტესად ბულგარელი ფეხბურთელები არიან. ისინი ყურადღებით აკვირდებიან საბჭოთა ფეხბურთელებს, სწორიან მათ ძალებსა და ტექნიკას. საღამოს მასპინძლებმა — „სლავიის“ სასპორტო კლუბის ხელმძღვანელებმა — სტუმრებს ავტომობილით სეირნობა მოუწყეს ქალაქში. დედაქალაქის რამდენიმე ისტორიული ძეგლის გაცნობის შემდეგ, საბჭოთა ფეხბურთელები გაემართნენ სოფიის გარეუბან ვიტოშის მთის ძირისაკენ. აქედან ათეულ კილომეტრებზე მეტად წარმტაცი სურათი იშლება. ქვემოთ ხეობაში გადაჭიმულია სოფია და მისი გარეუბნები. შორს ჰორიზონტი ბალკანეთის მთაგრეხილში იკარგება.

როცა მანქანები ქალაქში დადიოდნენ, სოფიელები მხიარულად მიესალმებოდნენ სტუმრებს, ქუდს უქნევდნენ მათ. ხშირად გაისმოდა მისალმება: „დობრე დოშლი“ („კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“). საბჭოთა სპორტსმენებს კვლავ დიდ ყურადღებას აქცევენ არა მარტო სოფიის მცხოვრებნი, არამედ მთელი ბულგარეთიც. გუშინ მათ მიიღეს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საბჭოთა სპორტსმენებს. სასტუმრო „სლავიანსკა ბესედა“. სოფია. ქალაქ იამბოლის ბულგარული საზოგადოება თქვენი სახით გულითადად მიესალმება დიადი საბჭოთა კავშირის მილიონობით სპორტსმენებს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“.

გუშინ საბჭოთა სასპორტო დელეგაციის ხელმძღვანელებმა და ბულგარეთის სასპორტო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა შეიმუშავეს სოფიაში საბჭოთა ფეხბურთელების ყოფნის სხბოლოო პროგრამა. პირველი მატჩი „სლავიის“ სასპორტო კლუბის გუნდთან გაიმართება კვირას, 11 აგვისტოს 17 საათსა და 30 წუთზე სოფიის დროით. როგორც სჩანს, მატჩი ტრანსლირებულ იქნება ბულგარეთის რადიოსადგურების მიერ. მეორე მატჩი სოფიის ნაკრებ გუნდთან, რაც წინათ განზრახული იყო 14 აგვისტოსათვის, გათვალისწინებულია 15 აგვისტოსათვის.

ბულგარეთის პრესა აშუქებს სოფიაში საბჭოთა ფეხბურთელების ყოფნას და მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირში ფეხბურთის განვითარებას.

გაზეთი „სლოვო“ გუშინ, სხვათა შორის, სწერდა: „საბჭოთა ფეხბურთელებმა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს და ცხადჰყვეს, რომ თამაშის ტექნიკით ევროპელ ფეხბურთელებს არაფრით არ ჩამოუვარდებიან. ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ფეხბურთი დიდად განვითარდა. ჩვენი ფეხბურთელების ამოცანა იოლი არ იქნება. „სლავიის“ სასპორტო კლუბისა და სოფიის ნაკრებ გუნდებს მოწინააღმდეგედ ეყოლებათ ჩინებული ფეხბურთელები, რომლებიც ბურთს ზედმიწევნით დაუფლებულნი არიან“.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

იტალიის სარდლობის ცნობა

რომი, 8 აგვისტო (საკდესი). სტეფანის სააგენტო აქვეყნებს იტალიის სამხედრო სარდლობის შემდეგ ცნობას:

„ერთერთი ჩვენი კოლონა, რომელმაც სამი დღის წინათ ბრიტანეთის სომალის საზღვარი გადალახა, ზღვისკენ გავიდა და ზეილის ნავსადგური დაიკავა. აღმოსავლეთ აფრიკაში ჩვენი ყუმბარმშენების რაზმებმა იერიში მიიტანეს ვაჟირის აეროპორტზე (კენია), სადაც მოსპეს მიწაზე მყოფი სამი თვითმფრინავი და სერიოზულად დააზიანეს ბაზის ნაგებობანი; ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი ავიაგამანადგურებელი. მტრის მიერ დირედაუასა (აბისინია) და მასაუაზე (ერიტრეა) ჩატარებულ საჰაერო თავდასხმას მნიშვნელოვანი ზარალი არ გამოუწვევია. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენმა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მტრის ხუთ სატვირთო გემს, რომლებსაც სამხედრო გემები მიჰყვებოდნენ. ორი გემი სერიოზულად დაზიანდა“.

იტალიის ჯარის მოქმედება ბრიტანეთის სომალში

ბერლინი, 8 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იმოწმებს ლონდონში გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეს და იუწყება, რომ გუშინ დილაადრიან იტალიის ჯარმა ბრიტანეთის სომალში დაიკავა ოდუეინი და ერგეისი.

იტალიის ზარალი

ბერლინი, 8 აგვისტო (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, იტალიის უმაღლესი სარდლობა იუწყება, თუ რა ზარალი აქვს იტალიის არმიას ივლისის განმავლობაში. ამ ცნობის თანახმად, იტალიის საჰაერო ფლოტმა დაკარგა 89 ოფიცერი და ჯარისკაცი, უკვალოდ დაიკარგა 62 კაცი, დაჭრილია 109 კაცი. საზღვაო ფლოტში მოკლულია 99; უკვალოდ დაიკარგა 69 და დაჭრილია 130 კაცი. აფრიკაში დაიღუპა 13 სამხედრო მოსამსახურე და შავხალათიანი. გარდა ამისა 5 კაცი ჭრილობით გარდაიცვალა.

რომი, 8 აგვისტო (საკდესი). სტეფანის სააგენტოს ცნობით, იტალიის გაზეთი „ტევერე“ სწერს, რომ ინგლისელებმა 11 ივნისიდან 5 აგვისტომდე დაჰკარგეს 285 თვითმფრინავი, იტალიელებს კი ამავე ხნის განმავლობაში 45 თვითმფრინავი დაეღუპათ. გაზეთს შემდეგი ცნობები მოჰყავს ზღვაში ინგლისის ზარალის შესახებ: ჩაძირულია 1 კრეისერი, 7 საესკადრო ნაღმოსანი და 11 წყალქვეშა ნავი. სერიოზულად დაზიანებულია 3 სახაზო გემი — „ჰუდი“ და 2 — სახაზო გემი „უორსპაიტის“ ტიპისა, 2 ავიამზიდი — „არკ როიალი“ და „იგლი“, 8 კრეისერი, 3 საესკადრო ნაღმოსანი და 2 წყალქვეშა ნავი. გარდა ამისა, ჩაძირულია 10-მდე სატვირთო გემი და 4 ნავთსასმელი გემი. იტალიელებმა დაჰკარგეს: 1 მსუბუქი კრეისერი, 3 საესკადრო ნაღმოსანი, 7 წყალქვეშა ნავი და 1 სანაღმო ტრალერი.

ვაჟა-ფშაველას სახლი სოფ. ჩარგალში.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ვაჟა-ფშაველას ხსოვნის საღამო

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 25 წლისთავი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა აღნიშნა ლიტერატურული საღამოთი, რომელიც გუშინ შესდგა მწერალთა კლუბში. ო. აბაშიძის შესავალი სიტყვის შემდეგ ვაჟას შემოქმედების შესახებ ვრცელი და საინტერესო მოხსენება წაიკითხა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა. ვაჟას შემოქმედების შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ ქ. კაპანელი და ვ. წულუკიძე, რომელმაც დაბეჭდვრეთ გააცნო მკვლევარ მილერის შეხედულებანი ვაჟას შესახებ.

საღამოს მეორე განყოფილებაში პოეტებმა წაიკითხეს ვაჟას და ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები. ი. მოსაშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსები — „მოგონება“, შესავალი პოემიდან და „ვაჟა მოხადირე“, ქ. კალაძემ — „ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა მთაწმინდაზე“, ვ. გორგაძემ — „ვაჟას ხსოვნას“, დაწერილი ვაჟას გარდაცვალების 20 წლისთავზე, ა. თევზაძემ — „ქართული პოეზიის არწივს“, ბ. სერებრიაკოვმა — ვაჟას ლექსების „არწივის“ და „სიმღერის“ საკუთარი თარგმანები, სომეხმა პოეტმა გრიგმა სომხურად წაიკითხა საკუთარი ლექსი, მიძღვნილი ვაჟასადმი, მ. პატარიძემ — ვაჟას „გიგი“ და ხევსურული ხალხური ლექსი.

საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ხვალ ჩარგალში შესდგება ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი.

კულტურაშრობა ხევსურეთში

ხევსურები ჰგმობენ ძველ ადათებს

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

სოფელ ამღას შუა გულში თეთრი პატარა ხევსურული სახლი დგას. აივანზე ორი კარი გამოდის. პირველ კარში რომ შეხვალთ, უპირველეს ყოვლისა სერგო ორჯონიკიძის დიდ პორტრეტს დაინახავთ. ოთახი ზედმიწევნით დასუფთავებულია. კედლებზე ლენინის, სტალინისა და ბერიას პორტრეტები ჰკიდია. იატაკზე დიდი ხალიჩა ჰფენია, მაგიდაზე კი უკანასკნელი გაზეთები და წიგნები აწყვია. ამ ოთახს განსაკუთრებული სიყვარულით უვლის სახლის პატრონი, ახოვანი ვაჟკაცი წვრილა წიკლაური. ამ ოთახში რამდენიმე თვეს ცხოვრობდა სერგო ორჯონიკიძე, რომელიც სუსხიან ზამთარში საჩაჩო-ინგუშეთიდან საქართველოში უნდა გადმოსულიყო, მაგრამ ვიდრე ამას მიაღწია, მთებზე დიდი თოვლი მოვიდა და გზა ყოველმხრივ ჩაიკეტა. ორჯონიკიძე იძულებული გახდა ამღას დარჩენილიყო და რამდენიმე თვე წვრილას მამის ბეწინა წიკლაურის სახლში დაბინავებულიყო, იმ ოთახში, რომელსაც წვრილა ახლა ასე გულისყურით უვლის.

იმ დროს ამღაში 20 კომლზე მეტი ხევსური ცხოვრობდა, მაგრამ არცერთმა კაცმა წერა-კითხვა არ იცოდა. ძველ ადათ-წესების მიმდევარი ხევსური კარჩაკეტილად და პრიმიტიულად ცხოვრობდნენ. ახლა სოფელში ასზე მეტი კაცი და ქალი ცხოვრობს. მათ შორის მხოლოდ სამი მოხუცია წერა-კითხვის უცოდინარი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი ჯაკეთა იმისათვის, რომ ხევსურთა შორის ახალი კულტურული ცხოვრება დაენერგა. სოფელში გახსნილია სკოლა. ხევსურთა დიდ ნაწილს გაზეთები აქვს გამოწერილი და დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს საერთაშორისო ამბებს, ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველდღიურ ცხოვრებას.

გასულ წელთან შედარებით ამღელ ხიდწყოთა ყოფაცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. კულტმოლაშქრეებთან საუბარში ხევსურებმა განაცხადეს, რომ მიმდინარე წელს სოფლის მცხოვრებთა ნაწილმა სავსებით დაჰგმო ძველი ადათი. სოფელში აშენებული სამრევლოების ნაწილი დაანგრიეს. მოხუცთა დიდ ნაწილსაც კი ახლა აღარ ეშინია ხატის ძალისა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე ხევსურებმა დაინაწილეს ძველად ხატზე შეწირული მამულები და ახლა ამ მიწებზე ქერის ფუხი მოსავალი მწიფდება.

კულტმოლაშქრეებთან საუბრის შემდეგ ხევსურებმა მშვენიერი ვახშამი მოგვიწყვეს. მეგობრულ საუბარში ისინი იგონებდნენ და თითონვე დასცინოდნენ ამჟამად უკვე უარყოფილ ძველ ადათებს. ბეწინაკა წიკლაურმა მოიგონა სისხლის აღების საზარელი ფაქტები. გვიამბო შათიკაურებსა და ჭინჭარაულებს შორის ატეხილ დავაზე და საშინელ სისხლისღვრაზე, რომელიც ვალად გაცემულმა შაშხანის ერთმა ტყვიამ გამოიწვია და 7 კაცი იმსხვერპლა. ხევსურებმა მოიგონეს აგრეთვე საშინელი სისხლის ღვრა ქისტებსა და ხევსურებს შორის წარსულში და შეადარეს ახლანდელ მეგობრობას. გვიამბეს ქისტების სტუმარ-მასპინძლობაზე, როგორ უხარიათ ახლა მათ ხევსურთა სტუმრობა და რა გულუხვ მასპინძლობას იჩენენ.

დაღამებისას, საუბარი რომ დამთავრდა, ხევსურთა გოგონებმა საკრავი გამოიტანეს და ხევსურული სიმღერებით სოფელი აახმაურეს.

თ. ფურცელაძე.

საბჭოთა მუსიკის დეკადა ესპრადეს დეკადა

საბჭოთა მუსიკის დეკადის ყოველწლიურად ჩატარება შესანიშნავ ტრადიციად გადაიქცა და გვიჩვენა აგ ღონისძიების უდიდესი მნიშვნელობა საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების განვითარების საქმეში.

საბჭოთა ესტრადის შემდგომი განვითარების მიზნით, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა საჭიროდ სცნო მომდინარე წლიდან, საბჭოთა მუსიკის დეკადის ჩატარებასთან ერთად, ჩატარდეს აგრეთვე საბჭოთა ესტრადის დეკადა საერთო საბელწოდებით — საბჭოთა მუსიკისა და ესტრადის დეკადა. კომიტეტმა ამის შესახებ სათანადო მითითებანი მისცა ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკურ სამმართველოებს.

საქართველოში საბჭოთა მუსიკისა და ესტრადის პირველი დეკადა ჩატარდება 18 ნოემბრიდან 30 დეკემბრამდე როგორც თბილისში, ისე რაიონულ ცენტრებსა და კოლმეურნეობებში. დეკადაში მონაწილეობას მიიღებენ ანსამბლები, კოლექტივები და იხდივიდუალური შემსრულებლები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოსთან ერსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ამ დღეებში იწვევს თათბირს, რომელიც განიხილავს დეკადის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს (რეპერტუარი, გეგმა და სხვ.). თათბირზე მოწვეული არიან კომპოზიტორები, დრამატურგები, მწერლები, ესტრადის მუშაკები, საქართველოს თეატრების წამყვანი მსახიობები. მოხსენებას დეკადისათვის მზადების შესახებ გააკეთებს საქართველოს სახ. ესტრადის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლადო კავსაძე. (საქდესი).

I ასკ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ ორჯონიკიძის რაიონის აქტივის კრება

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი იუწყება, რომ ა. წ. 10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 28) შესდგება ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პარტიული აქტივის კრება შემდეგი დღისწესრიგით:

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება უმაღლეს სასწავლებლებში. (მომხსენებლები თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი — ამხ. დ. უიფშიძე და ლენინის სახელობის სატრანსპორტო ინსტიტუტის უფროსი ამხ. ჭიჭინაძე).

ლ. კეცხოველის სახელობის პარპროპაგანდის სახლში

დღეს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა—„ლენინი და სტალინი შრომის სოციალისტური ორგანიზაციისა და დისციპლინის შესახებ“ (კონსულტანტი — ბიბილეიშვილი).

კარგკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) აღბულაღის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 2161420, გაცემული გამიდ ატაკიშის-ძე **ატაკიში-ოღლის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1.546.673, გაცემული ბესარიონ დავითის-ძე **ომაძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „ჩემი სიყვარული“; **ოქტომბერი** — „ოქროს ტბა“; **დამკვრელი** (ზაფხულის) — „ჩემი სიყვარული“; **დამკვრელი** (ზამთრის) — „ჩემი სიყვარული“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დედაკაცნი“; **კომკავშირელი** (ზამთრის) — „მთის მარში“; **სპარტაკი** — „მაჭიმე მაჭიმეს-ძე“; **ლუსმბურგის** სახელობის — „დიდი ვალსი“; **26 კომისრის** სახელობის (ზაფხულის) — „კარო“; **26 კომისრის** სახელობის (ზამთრის) — „არსენა“; **კომინტერნი** — „დიდი ვალსი“; **ს. ორჯონიკიძის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი—„11 ივლისი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

10—11 აგვისტო

ს. ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

10—11 აგვისტო

კონცერტი
„საჭირა და ჯუმორი“
მონაწილეობენ: დაესახურებული არტისტი, ორდენოსანი **ლადო კავსაძე,** დამსახ. არტისტი **ვასო გოძიაშვილი,** დამსახ. არტ. **ვასო ურუშაძე,** ორდენოსანი **ვარდიაშვილი,** ორდენოსანი **სვანიძე. კობელი** და სხვ.
დასაწყისი საღ. 9 ს. 45 წ.

კინო-თეატრ **ში**
ახალი ხმოვანი კინოფილმი
„დიდი ვაღსი“
დასაწყისი საღ. 8 ს., 9 ს. 35 წ და 11 ს.
ევროპული ცეკვა
ჯაზი
დასაწყისი საღ. 10 საათზე.

საცირკო ატრაქციონი
„სალტო მოტოციკლზე“
დასაწყისი 9 ს. 30 წ.
საბავშვო რკინიგზა,
ავტო-სტრადა.
სკეტინგ-რინგი, კარუსელი და სხვ.
დირექცია

კომკავშირის ხეივანი ღია ესტრადა
ოცი დიდი საღამო-კონცერტი

10 აგვისტო
მონაწილეობენ:
1. რესპუბლიკის დამსახ. არტისტი **ლადო კავსაძე** (ორდენოსანი), 2. გ. ფირუმიანი (იუმორისტი), 3. მიშინი 3 (გარმონისტები), 4. სიხარულიძე და გეჯაძე (კავკასიური ცეკვები), 5. მიაკიშევა (მომღერალი), 6. რშტუნი (სომხურ-ქართული სიმღერები), 7. ჩიტაშვილი (ილიუზიონისტი) მუნიპაციტორი აკომპანიატორი **საფაროვა სარუხანოვი** პროგრამის წამყვანი

მონაწილეობენ:
ქართლ-კახური სიმღერების და ცეკვების ანსამბლი
რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის
მარო თარხნიშვილის
ხელმძღვანელობით
11 აგვისტო

უკრავს სახსულე ორკესტრი.
შესვლა უფასოა
105
დასაწყისი 9 საათზე.
დირექცია.

შვილები ვახტანგ, ზურაბ ცოლშვილით, და ნადეჟდა ქმარშვილით იუწყებიან, რომ 11/VIII 2 ს. სურამში დანიშნულია
ლუარსაბ დიმიტრის-ძე მურვანიშვილის
პანაშვიდი. 740

შვილები საშა, ნატაშა, ესტატე, პანტელეიმონი, ნინა, სოსო, ელენე, სიძე ძაისურაძე, რძლები ანიკო, ტასო, ვ. ფროპირიძე იუწყებიან
კელაგია ელისაბედაშვილი-გარნაბიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/VIII 8 ს. გამოსვენება 11/VIII 5 ს. კოლხიდის ჩ., 4. 7428

ვ. გეგუჩაძე, დ. გურგენიძე, დ. ლორთქიფანიძე და ალ. ფრანგიშვილი იუწყებიან
მარიამ აფრასიონის-ასულ ლომინაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/VIII 5 ს. კეცხოველის, 20. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 7423

მამიდა მელანია, მეუღლე ნიკოლოზით და შვილებით: ნინო, მანია, გრიშა, ოტო, ვანო და ქეთო ცერცვაძეები იუწყებიან
ვერიკო ღვინერიას
გარდაცვალებას. გამოსვენება 11 აგვისტოს 6 ს.

ალ. უგრეხელიძე და შ. სიხარულიძე ოჯახობით თანაგრძნობას უცხადებენ ილიკო ძეგრელაძეს მისი შვილის
რუსუდანის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 10 აგვისტოს.

ვ. კიკაჩეიშვილი, ა. მაჩაიძე, ა. ხუხწარია, ი. კანდელაკი, ე. ჭირაქაძე, მ. ახალაძე, ს. ყულენტი, ნ. ბახუაშვილი, ი. კეკუაძე, ა. თავართქილაძე, პ. დოლიძე, შ. ვადაქარია, გ. აბაშიძე, თანაუგრძნობენ ი. მეგრელიძეს მისი შვილის
რუსიკოს
გარდაცვალების გამო. 7430

თბილისის ჯანგანყოფილების საბაზისო საავთიაქო საწყობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს თანამშრომელ მიშა შავიშვილს მისი დის
მარო ლომინაძის
გარდაცვალების გამო. 7427

მშობლები ქეთო და ოთარი, ბებია ელიკო, ბაბუა სევერიანე იოსელიანები, დეიდა თამარ დანელია იუწყებიან
პატარა შადიმანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 11/VIII. 7425

გ. თავბერიძე, გ. ნ. კალანდაძე, შ. ხიტირი, გ. მინდაძე, ბ. ჯაყელი, გ. ნასარიძე, ზ. კალანდაძე, ვ. დონდოლაძე, შ. დარბაიძე, ს. სტეფანოვი, ს. კალანდაშე, თანაუგრძნობენ ელისაბედ რუსიშვილს
ტასიკო რუსიშვილი-დემურიას
გარდაცვალების გამო. 7415

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი იუწყება დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის
მარიამ ლომინაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან, კეცხოველის ქ. № 20, 11/VIII, 5 საათზე. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 7414

მეუღლე კოტე. დედამთილი ბაზუ, მული თამარ, მაზლები ცოლშვილით იუწყებიან
ეთერი ხუბაშვილ-ბიბინეიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7½ ს. ანანურის, შ. 2. გამოსვენება 11/VIII 6 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე. 7426

ძმა, შამშე, რძალი თამარ, ძმისშვილები ეთერი, გურამი იუწყებიან
მარო ლომინაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 11/VIII 5 ს. კეცხოველის, 20. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 7422

ლიდა, ლენა, ვახტანგ დუმბაძეები, ნატა'მა ვაშალომიძე, ალექსი გოროგაძე იუწყებიან ბატარა
რუსუდან მეგრელაძის
გარდაცვალებას. 7387

მოსე და სესილი გოგიბერიძეები შვილებით იუწყებიან ჯულიეტა და ილიკო მეგრელიძის შვილის
რ უ ს უ დ ა ნ ი ს
გარდაცვალებას. 7432

მეგობრები ე. კვინიკაძე, თ. დოლონაძე, ი. თვალავაძე, გ. ფხაკაძე, ე. ვასაძე, ვ. ბოლქვაძე, ნ. ჩერქეზიშვილი თანაუგრძნობენ ნინო გოგიბერიძეს მისი დისწულის
პატარა რუსიკოს
გარდაცვალების გამო. 7416

მეგობრები გოდერძიშვილი, კუტალაძე, მურმანიძე, ძნელაძე, გვარამია, გორდელაძე, ბოჯგუა, თოდრია, დუდუჩავა, ნიკოლაიშვილი, პარასტაევი და ლომიძე თანაუგრძნობენ ვ. დუდუჩავას მამის
ანტიფო დუდუჩავას
გარდაცვალების გამო. 7417

მეუღლე ვერა, მშობლები ფოკა, მატინინე, ძმები აკაკი, იონა, გრიგოლ ცოლშვილით იუწყებიან ინჟინერ
ტარიელ აბესაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/VIII ზესტაფონში. 7419

ლიმმანტრესტის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ტრესტის თანამშრომლის
ვასო კონსტანტინეს-ძე ხარაზიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 11/VIII 6 ს. გამოსვენება 11/VIII 7 ს. ბარნოვის 30. 7420

მეუღლე მატრონა, შვილი აკაკი, რძალი გოგუცა და შვილიშვილი ჯუმბერი იუწყებიან
ნიკიფორე ივანეს-ძე მაჭარაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 10/VIII 6 ს. ლენ-რაიონი, ხვანჭკარის ჭუჩა. 20. 7429

ქმარი პლატონ, შვილები ენდიკო და სოლიკო, მაზლები შალიკო, დომენტი და ვარლამ კილასონიები იუწყებიან
ლენა ნოეს-ასულ კილასონიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 13/VIII (აბაშის რაიონი) ს. წყემში. 7424

და თამარ, სიძე ტარიელ ჭორჩილავები შვილებით იუწყებიან
მირიან პავლეს-ძე ხონელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. კიევში. პანაშვიდი 11/VIII სოფ. პირველ მაისში (აბაშის რ.). 7421

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი. ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—88, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1490